ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის ოქმი № 5

ქ. ლანჩხუთი **21.04.2026 წელი**

16:00 საათი

სხდომას უძღვებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი.**

სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრები: ნინო მშვიდობაძე, ლოლიტა ურუშაძე, დარეჯან ბურჭულაძე, რევაზ კვერენჩხილაძე, ივანე ებრალიძე, გელა პატიეშვილი, ირაკლი ტოროტაძე, თენგიზ ხუხუნაიშვილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: ელისო ჭიჭინაძე, ვარლამ ჩხარტიშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლაჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **ეკა გუჯაბიძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი **ვარდენ კვაჭაძე,** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **მაია ლომთაძე,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ჭანტურიშვილი.**

სხდომის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, ვადიანი სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ"ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებლები: კარლო კვიტაიშვილი; ვარდენ კვაჭაძე/

2. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 9; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, ვადიანი სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ"ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ** და აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მოსაზრებაა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ჟორდანიას ქუჩაზე მდებარე 463.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 27.06.51.394) 16კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის N008045925 თარიღი 2.12.2025 თანახმად 1 კვ.მ. შეფასებულია 98 ლარად) 5 წლის ვადით გამოაცხადოს სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებული ელექტრონული აუქციონი. აღნიშნულისთვის საჭიროა, - „ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულომ, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით, განსაზღვროს სარგებლობის უფლებით გადასაცემი უძრავი ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა ზემოაღნიშნული ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის მიზნით, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 5 500 (ხუთიათას ხუთასი) ლარით.

პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი** დაინტერესდა, შეიძლება თუ არა პირდაპირი განკარგვის წესით გადაეცეს კერძო პირს აღნიშნული ფართი, რაზეც ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ** გააკეთა განმარტება, რომ უკვე რამოდენიმე თვეა, მთავრობის რეკომენდაციის მიხედვით, აუცილებელია კერძო პირებთან გამოცხადდეს აუქციონი.

კარლო კვიტაიშვილი ასევე დაინტერესდა, რა ხდება ქალაქის სკვერში ახალაგებულ შენობასთან დაკავშირებით, რაზეც **ვარდენ კვაჭაძემ** განმარტა, რომ შვიდწლიანი ხელშეკრულება არის გაფორმებული მესაკუთრესთან, რომელიც იხდის ქირის საფასურს. ამჟამად შენობაში მიმდინარეობს რემონტი და აუცილებელია სველი წერტილისა და საპირფარეშოს მოწყობა.

კომისიის წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 9; წინააღმდეგი არც ერთი.

სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ, **კარლო კვიტაიშვილმა** ისაუბრა შეგრენ-ლარსონის სინდრომის მკურნალობის დაფინანსებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ამ უიშვიათესი სინდრომით 1

ადამიანი არის მუნიციპალიტეტში დაავადებული და კარგი იქნება თუ მაისის თვიდან მოხდება აღნიშნული პროგრამის ამოქმედება, რასაც კომისიის ყველა წევრმა დაუჭირა მხარი.

კარლო კვიტაიშვილმა აგრეთვე სხდომას გააცნო ბერძნულ-რომაული ჭიდაობის უფროსი მწვრთნელის დავით მჟავიას წერილი, სადაც ის ითხოვს, რომ მოჭიდავეებს, რომელთაც უკვე შეუსრულდათ 18 წელი და რჩებიან სტიპენდიისა და ხელფასის გარეშე, დაენიშნოთ გარკვეული თანხა ან სპორტულ ცენტრში სპორტსმენების ასაკი გაიზარდოს 23 წლამდე. **კარლო კვიტაიშვილის** აზრით, ამ ბავშვების წარმატება ყველას უხარია და ხელს არავინ არ კრავს, მაგრამ აღნიშნული მოთხოვნის გათვალისწინება შეუძლებელია, რადგანაც მაშინ სპორტ სკოლას უნდა შეეცვალოს სტატუსი.

საკითხის შესახებ ასევე განმარტება გააკეთა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ **ეკა გუჯაბიძემ** და აღნიშნა, რომ ეს საკითხი სცდება მათ კომპეტენციას. ის, რომ დასაქმების სააგენტო შექმნან, ეს ფიზიკურად შეუძლებელია და ამდენი მწვრთნელიც არ არის საჭირო. მისი თქმით, სპორტულ ცენტრში სწავლა უფასოა, სპორტსმენები დადიან შეკრებებზე და გასვლით თამაშებზეც ძალიან დიდი ხელშეწყობა აქვთ.

კომისიის წევრმა **ივანე ებრალიძემ** აღნიშნა, რომ სპორტსმენი როცა ხდება საქართველოს პრიზიორი, ის თავისთავად არის ნაკრების წევრიც და შესაბამისად რაიონში ვერ დარჩება.

კომისიის წევრმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ სკოლას აქვს თავისი წესდება, განსაზღვრულია ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფები და მისი ფუნქციაა ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. ხოლო, თუ სპორტსმენი წარმატებულია, არის შემდგომი ეტაპები, კერძოდ - ოლიმპიური სკოლები, სადაც მათ შეუძლიათ გააგრძელონ მოღვაწეობა.

კომისიის წევრმა **ნინო მშვიდობაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად ტარდება ლიტერატურული კონკურსი „მთიები", სადაც მონაწილეობას იღებენ 14 - დან 29 წლამდე ახალგაზრდები. კარგი იქნება თუ სამომავლოდ ასაკობრივი ზღვარი გაუქმდება, გაიზრდება ფულადი ჯილდო და კონკურსი ჩატარდება არა მხოლოდ რაიონის, არამედ რეგიონის მასშტაბით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, **ეკა გუჯაბიძემ** აღნიშნა, რომ კონკურსზე აქცენტი ძირითადად კეთდება ახალგაზრდებზე და ხდება ადგილობრივი შემოქმედი ადამიანების წახალისება, ხოლო რაც შეეხება ფინანსურ ჯილდოს, მიმდინარე წელსაც იყო საუბარი თანხის გაზრდაზე, მაგრამ საფინანსო სამსახურმა ვერ გასცა შესაბამისი რეკომენდაცია.

კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილმა** აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს ჭადრაკის საერთაშორისო ტურნირი გაიმართა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სადაც დაახლოებით 300 - ზე მეტი ადამიანი იღებდა მონაწილეობას, იყო უცხო ქვეყნის წარმომადგენლებიც. კარგი იქნება, თუ მსგავსი ღონისძიებების გაშუქება მოხდება ტელევიზიით.

კარლო კვიტაიშვილმა ასევე ისაუბრა ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა პრობლემებზე, კერძოდ:

1. პროფესიული სასწავლებლის შენობის წინ არის ანტისანიტარია. ნაგვის ურნები არის გასატანი ტერიტორიიდან.

2. ჟორდანიასა და კოსტავას ქუჩების კვეთაზე იღვრება წყალი, რომელიც ჩაედინება სანიაღვრე არხში და არის მოსაწესრიგებელი.

3. ახალდაგებული ასფალტის საფარის ამოჭრა მოხდა ებრალიძისა და ბესიკის ქუჩების კვეთაში გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ და არის მოსაწესრიგებელი.

კომისიის წევრმა **რევაზ კვერენჩხილაძემ** აღნიშნა, რომ სოფელ ჩოჩხათში რამდენიმე თვეა ჩამოვარდნილია ელექტრო ენერგიის კაბელი. მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე იქნა გაფრთხილებული ენერგო პრო ჯორჯია, ისევ მოუწესრიგებელია.

კომისიის წევრმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ ყოფილი სკოლა - ინტერნატის საძინებელი კორპუსი არის ავარიული, სადაც შედიან ბავშვები სათამაშოდ და აუცილებელია სასწრაფოდ მოხდეს შენობის დემონტაჟი.

კომისიის წევრი **ირაკლი ტოროტაძე** დაინტერესდა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში კეთდება თუ არა კატების სტერილიზაცია - კასტრაცია, რაზეც **კარლო კვიტაიშვილმა** უპასუხა, რომ აღნიშნული სერვისით მომსახურება ხდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. აქვთ ადგილზე მომსახურების სერვისიც, რომლის ღირებულება შეადგენს 200 ლარს.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: **/კარლო კვიტაიშვილი/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და
ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,
განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის №5 სხდომის
დასკვნა

ქ. ლანჩხუთი **21.04.2026 წ.**

2026 წლის 21 აპრილს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, ვადიანი სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ"ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებლები: კარლო კვიტაიშვილი; ვარდენ კვაჭაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, ვადიანი სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ"ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 9; წინააღმდეგი არც ერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: **/კარლო კვიტაიშვილი/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი

21.04.2026 წელი
16:00 საათი

1. კარლო კვიტაიშვილი - კომისიის თავმჯდომარე	15 50	
2. ნინო მშვიდობაძე	15	
3. დარეჯან ბურჭულაძე	15 55	
4. ლოლიტა ურუშაძე	15 55	
5. ელისო ჭიჭინაძე	არ ესწრებოდა	
6. რევაზ კვერენჩხილაძე	16 00	
7. ივანე ებრალიძე	15 50	
8. ვარლამ ჩხარტიშვილი	არ ესწრებოდა	
9. გელა პატეიშვილი	15 55	
10. ირაკლი ტოროტაძე	15 53	
11. თენგიზ ხუხუნაიშვილი	15 50	